2013

თავდაცვის რესურსების მართვის კონცეფცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

სარჩევი

სარჩევი 2
დოკუმენტის მიზანი 3
შესავალი 4
თავი I 5
    რესურსების მართვა ეროვნულ დონეზე 5
თავი II 6
    თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სისტემა 6
თავი III 9
    გამოწვევები და გადაწყვეტის გზები 9
თავი IV 10
    რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხედვა 10
დასკვნა 10

დოკუმენტის მიზანი

„თავდაცვის რესურსების მართვის კონცეფცია“ გამოხატავს თავდაცვის სამინისტროს ხედვას მატერიალური რესურსების მართვის სფეროში. დოკუმენტი ხელს შეუწყობს თავდაცვის სამინისტროში ეფექტური და გამჭვირვალე რესურსების მართვის სისტემის შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას, რომელიც მიზნად ისახავს არსებული უსაფრთხოების გარემოს გამოწვევებზე საპასუხოდ შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და თავდაცვის სამინისტროს რესურსების ადეკვატური კონტროლისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას საბიუჯეტო სახსრების განკარგვისას. თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ასევე უზრუნველყოფს საქართველოს ნატოს სტანდარტებთან თავსებადობას.

აღნიშნული დოკუმენტის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ,,თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016” დოკუმენტი, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტსაც წარმოადგენს თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის ფუნდამენტალური ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების ასახვა სახელმძღვანელო დოკუმენტებში, არსებულ სტრუქტურასა და პროცედურებში.

შესავალი

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, დოკუმენტი ასახავს თავდაცვის რესურსების მართვის სისტემაში არსებულ მდგომარეობას, განსაზღვრავს სისტემის პრინციპებსა და მიზნებს და მიმოიხილავს რისკებს და გამოწვევებს, რომლებსაც შესაძლოა წავაწყდეთ რეფორმების განხორციელების პროცესში.

დემოკრატიულმა რეფორმებმა და ამ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა ჩართულობამ მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დამოკიდებულება საბიუჯეტო დანახარჯებისადმი - რომლის ძირითად წყაროს ქვეყნის მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადები წარმოადგენს. საზოგადოებაში სულ უფრო მატულობს სახელმწიფო დანახარჯების შესახებ ინფორმაციაზე მოთხოვნა.

მთავრობის პრიორიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალე და ეფექტური განაწილების შესახებ, თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის პოლიტიკის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისად შეზღუდული რესურსების განაწილება ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ეფექტიანობა - თავდაცვის რესურსების (მატერიალური, ფინანსური და ადამიანური) ეფექტიანად და რაციონალურად განაწილება;
- ანგარიშვალდებულება - პასუხისმგებლობა პარლამენტისა და სხვა უწყებების წინაშე საბიუჯეტო დანახარჯებისა და მიღწეული შედეგების შესახებ;
- გამჭვირვალობა - გადასახადების გადამხდელთა ფულის/საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა;
- მოქნილობა - პროგრამებზე დაფუძნებული სტრუქტურის შესაბამისად თავდაცვის რესურსების მართვა.

სახელმწიფო პროგრამული ბიუჯეტის განაწილების პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებში რესურსების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის. სამინისტრო განაგრძობს დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის შემდგომ განვითარებას, რაც უზრუნველყოფს თავდაცვის ერთიანი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავების გზით რესურსების რაციონალურ განაწილებას და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ყოველივე აღნიშნული მიმართულია გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლებისა და სამოქალაქო, დემოკრატიული კონტროლის გაძლიერებისკენ და მოიცავს:

- საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას;
- საჯარო დანახარჯებზე წვდომის გაუმჯობესებას;
- ფინანსური გამჭვირვალობის გაუმჯობესებას.

პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტროს შეზღუდული რესურსების ეფექტურ განაწილებას მათი პრიორიტეტულობის მიხედვით და საბიუჯეტო ხარჯვასთან დაკავშირებით სათანადო კონტროლის განხორციელებას.

თავი I

რესურსების მართვა ეროვნულ დონეზე

თავდაცვის სისტემა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელ ნაწილს და ხელს უწყობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციით განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელებას. ცვალებადი უსაფრთხოების გარემოსა და არსებული საფრთხეების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტროსთან ერთად სხვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობა უსაფრთხოების რისკების განსაზღვრისა და მართვის პროცესში. თავდაცვის სამინისტროს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში და მონაწილეობს ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის პროცესში, სტრატეგიული დოკუმენტების (,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია", „საფრთხეების შეფასების დოკუმენტი") შემუშავებაში, რომელსაც კოორდინაციას უწევს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ,,თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016", რომელიც განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების გეგმებს 2013-2016 წლებისთვის.

სახელმწიფო ინსტიტუტებში რესურსების ეფექტური და გამჭვირვალე განაწილების მიზნით, ახალი საბიუჯეტო კოდექსის მიღებით საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირდა პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლის ვალდებულება. აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, 2012 წლიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ბიუჯეტის პროექტის პროგრამულ ფორმატში შემუშავება. პროგრამულ ბიუჯეტის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას უწევს ფინანსთა სამინისტრო. „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი" წარმოადგენს ყოველწლიურ ჩარჩო-პროგრამას, რომელიც წარმართავს საშუალოვადიანი ბიუჯეტის შემუშავების პროცესს. დოკუმენტი განსაზღვრავს პრიორიტეტებს საშუალოვადიანი ბიუჯეტის შემუშავებისათვის და ასახავს პროგრამებს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის და პროგნოზს მომდევნო 3 წლის საბიუჯეტო დანახარჯებზე. პროგრამული ბიუჯეტი შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფო რესურსები გადანაწილდეს თავდაცვის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში შედეგებზე ორიენტირებული პრინციპის მიხედვით, რაც გამოიწვევს ხარჯვის ეფექტიანობის ზრდას.

თავდაცვის სამინისტრომ ზემოთ ხსენებული საკანონმდებლო ვალდებულების შესასრულებლად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ეფექტურად განსახორციელებლად დაიწყო ბიუჯეტის პროექტის პროგრამულ ფორმატში შემუშავება. თავდაცვის სამინისტროს მიზანია არსებული შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალური შედეგების მიღწევა.

თავი II

თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სისტემა

განვლილი წლების განმავლობაში თავდაცვის სამინისტროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რესურსების მართვის არსებული სისტემის გაუმჯობესების მიზნით. საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს თავდაცვის სამინისტროებს შორის გაფორმდა შეთანხმების მემორანდუმი, რომლის საფუძველზე 2009-2010 წლებში, ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის შესახებ. თავდაცვის სისტემაში განხორციელებული ინდივიდუალური და ჯგუფური ტრენინგებისა და აღნიშნულ პროცესებში ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების აქტიური ჩართულობის მიუხედავად, თავდაცვის რესურსების მართვის პროცესებში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება კვლავ აქტუალურია. თავდაცვის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით თავდაცვის სამინისტროში შეიქმნა გადაწყვეტილების მიმღები საბჭო, მართვის ჯგუფი და ხუთი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი. თავდაცვის სამინისტროში რესურსების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელია მატერიალური რესურსების მართვის სამუშაო ჯგუფი. იხ. ცხრილი №1

ცხრილი N1

თავდაცვის მართვის სისტემა



საქართველოს თავდაცვის სამინისტროში რესურსების მართვის სისტემა ეყრდნობა ქვემოთ ჩამოთვლილ მიზნებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს რესურსების გამჭვირვალე, მიზნობრივ და ეფექტურ ხარჯვას:

- რესურსების განაწილების და ბიუჯეტის ხარჯვის პროცესის გამჭვირვალობის ზრდა, თავდაცვის ბიუჯეტის დანახარჯების შესახებ საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის ინფორმირება;
- თავდაცვის რესურსების ხარჯვის შესაბამისობა სახელმწიფო პრიორიტეტებთან;
- შეზღუდული რესურსების გარემოში მაქსიმალური შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- საქართველოს მთავრობის მიზნებისა და ამოცანების მხარდაჭერა;
- სშმ-ის სამომავლო შესაძლებლობების განვითარება პოტენციური გამოწვევების საპასუხოდ;
- საქართველოს კანონებთან შესაბამისობა (ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებთან“ შესაბამისობა).

- ნატო-სთან თავსებადი თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის განვითარება და დანერგვა;

თავდაცვის რესურსების მართვის პროცესი მოიცავს დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემას, რომელიც თავისთავად გულისხმობს პროცედურების ერთობლიობას, რაც უზრუნველყოფს პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავებას. დპბს-ის სისტემა შედგება დაგეგმვის, პროგრამირების, ბიუჯეტირებისა და ბიუჯეტის აღსრულების ფაზებისაგან.

1. დაგეგმვა - „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტსა და „მინისტრის ხედვაზე“ დაყრდნობით, თავდაცვის სამინისტრო შეიმუშავებს „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს“. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ პრიორიტეტებს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება არსებული ძალების რესურსებით უზრუნველყოფა მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის და სავარაუდო ღონისძიებების გათვლა მომავალი სამი წლისათვის. პროგრამების შესრულების ყოველწლიური შედეგები გავლენას ახდენს სამომავლო ძალების სტრუქტურასა და შესაძლებლობებზე. თავდაცვის სამინისტროში დაგეგმვის ფაზის კოორდინაციაზე პასუხისმგებელია თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი, ხოლო გაერთიანებულ შტაბში J5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის დეპარტამენტი.

2. პროგრამირების ფაზაში, დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული მიზნების შესაბამისად, მიმდინარეობს რესურსების არსებულ მოთხოვნებზე გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით. პროგრამირების ფაზის საბოლოო მიზანია ერთიანი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც მიღებული შედეგი საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის უზრუნველყოფს არსებული შეზღუდული რესურსებით მაქსიმალური შესაძლებლობების მიღწევას. ერთიანი ინტეგრირებული პროგრამის შემუშავება კომპლექსური პროცესია, რომელიც ხორციელდება სტრუქტურასთან, პრიორიტეტულ მოთხოვნებთან და შესაძლებლობების ანალიზთან დაკავშირებული სპეციფიკური პროცედურების შესაბამისად. პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელნი არიან პროგრამის მენეჯერები. პროცეს ზოგად კოორდინაციას უწევს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი/ფინანსების მართვის დეპარტამენტი, პროგრამირების პროცესზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასევე პასუხისმგებელნი არიან გაერთიანებული შტაბის J5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის და J-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტები.

3. ბიუჯეტის შემუშავება გულისხმობს სამომავლო ფისკალური წლისათვის თანხების არსებულ ძალებზე განაწილებას ფინანსთა სამინისტროს რეგულაციების შესაბამისად. ბიუჯეტის შემუშავებისათვის საჭირო პროცედურები უნდა შესრულდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ფორმატში განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. თავდაცვის მინისტრი ამტკიცებს ბიუჯეტის პროექტს მართვის ჯგუფისა და გადაწყვეტილების მიმღები საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად. ბიუჯეტის პროექტი უნდა მოიცავდეს, როგორც დადგენილი ზღვრული მოცულობის ფარგლებში ხარჯების გათვლებს, ასევე მის ზემოთ არსებულ მოთხოვნებს. საქართველოს პარლამენტის ინფორმირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უნდა ეცნობოს იმ რისკების შესახებ, რასაც გამოიწვევს ზღვრული მოცულობის ზემოთ მოთხოვნილი ასიგნებების დაუფინანსებლობა. თავდაცვის სამინისტროში ბიუჯეტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია ფინანსების მართვის დეპარტამენტი. აღნიშნულ პროცესზე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან თავდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული პროგრამის მენეჯერები, J5/9 სტრატეგიული დაგეგმვის, სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის, J-4/8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის და თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტები.

4. ბიუჯეტის აღსრულება თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის ბოლო ეტაპია. ბიუჯეტის აღსრულებაზე პასუხისმგებელნი არიან ფინანსების მართვის დეპარტამენტი და პროგრამის მენეჯერები. ფინანსების მართვის დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგს უწევს ბიუჯეტის აღსრულების პროცესს და ამზადებს კვარტალურ ანგარიშს. პროგრამების შესრულებისა და ფინანსური ანგარიშის კონსოლიდაცია ხდება თავდაცვის

პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტში, რომელიც შემდეგ წარედგინება მართვის ჯგუფსა და გადაწყვეტილების მიმღებ საბჭოს. ბიუჯეტის აღსრულების შესახებ ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იქნეს მომავალი წლის თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში. წლიური ფინანსური შედეგები აისახება თავდაცვის სამინისტროს ყოველწლიურ ანგარიშში, რაც მიზნად ისახავს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გამჭვირვალობას და სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებას საბიუჯეტო დანახარჯების შესახებ.
(იხილეთ გრაფიკი №2)

გრაფიკი №2
საქართველოს თავდაცვის რესურსების მართვის ციკლი



თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, „თავდაცვის რესურსების მართვის კონცეფციის“ დამტკიცების შემდეგ იგეგმება „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელოსა“ და „დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სახელმძღვანელოს“

განახლება. „თავდაცვის დაგეგმვის სახელმძღვანელო“ წარმოადგენს ყოველწლიურ დოკუმენტს, რომელიც ასახავს მომავალი საბიუჯეტო წლის პროგრამის სტრუქტურას და შემდგომი სამი წლის განვითარების პროგრამებს. დოკუმენტი ასევე პროგრამის მენეჯერებისათვის ადგენს პროგრამების შესამუშავებლად საჭირო მითითებს (პრიორიტეტები, პერსონალის და ფინანსების ზღვრული ოდენობა). „დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სახელმძღვანელო“ აღწერს დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების ფაზებს და განსაზღვრავს პროცესში ჩართული პირებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს.

თავი III

<u>გამოწვევები და გადაწყვეტის გზები</u>

წლების განმავლობაში დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის დანერგვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები. უპირველესად, აღსანიშნავია თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის სტრუქტურულ ერთეულებსა და წარმომადგენლებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა და ზოგ შემთხვევაში ფუნქციების დუბლირება, რამაც გამოიწვია ზემოხსენებული პროცესების შეფერხება. აღნიშნულმა პრობლემებმა თავდაცვის სამინისტროში განაპირობა ბიუჯეტის მომზადების პროცესის ორი განსხვავებული რეგულაციის მომზადება: ერთი ფინანსთა სამინისტროსთვის წარსადგენად, დამტკიცებული ფორმის მიხედვით და მეორე - შიდა მოხმარებისთვის. შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა გაურკვევლობა პერსონალს შორის და მნიშვნელოვნად შესუსტდა ბიუჯეტის შემუშავების მთელი პროცესი. ხსენებული გამოწვევების გარდა, ვერ მოხერხდა პროცესის მარეგულირებელი ერთიანი ფორმატის შემუშავება, სადაც მკაფიოდ განისაზღვრებოდა სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობები და ფუნქციები.

დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის გამართულად ფუნქციონირების მთავარ გამოწვევად რჩება პროფესიული კადრების სიმწირე. მომზადებული პერსონალის შენარჩუნება შესაბამის სამსახურებში და მათი ჩართულობა ხსენებულ პროცესებში. რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა მოითხოვს არსებული გამოწვევების მუდმივ ანალიზს და განსახორციელებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ეფექტური და გამჭვირვალე ბიუჯეტის შემუშავების მიზნით, მნიშვნელოვანია, სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციების შესრულება:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებისა და სამომავლო მისიების მხარდაჭერის მიზნით, თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის სრულყოფა და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის“ დოკუმენტთან შესაბამისობაში მოყვანა.
- მატერიალური რესურსების მართვის პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის უზრუნველყოფა და პერსონალის ფუნქციებისა და ამოცანების მკაფიოდ და დეტალურად განსაზღვრა.
- დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების პროცესში ჩართული შესაბამისი პერსონალის გადამზადება და მათი აქტიური მონაწილეობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში.
- კოორდინაციის გაუმჯობესებისა და პროგრამული ბიუჯეტის შემუშავების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია გადაწყვეტილების მიმღები საბჭოსა და მართვის ჯგუფის შეხვედრების რეგულარული გამართვა და მათი ფორმალიზება.

აღნიშნულ შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები უნდა აისახოს სპეციალურად შემუშავებულ შეხვედრის შესახებ ოქმში.

- თავდაცვის რესურსების მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა, განახლება და პროგრამის კოორდინატორებისა და მენეჯერების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების დეტალური გაწერა.

თავი IV

<u>რესურსების მართვის სისტემის განვითარების ხედვა</u>

თავდაცვის რესურსების მართვის არსებული სისტემის შეფასება და ანალიზი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია აღნიშნულ სფეროში წარმატების მისაღწევად. პროცესების უკეთ წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება. თავდაცვის სამინისტრომ უნდა განსაზღვროს დამატებითი პერსონალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

აღნიშნულ სფეროში თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალების პერსონალისათვის იგეგმება დამატებითი ტრეინინგები რესურსების დაგეგმვის და მართვის საკითხებში. საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებს, სავარჯიშოებს და სიმულაციებს.

2013 წლის ივნის-აგვისტოში შემუშავდა 2014 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი და 2015-2017 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები. 2013-2014 წლებში გადაიხედება და განახლდება რესურსების მართვის კონცეპტუალური ბაზა და დაგეგმვის პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის სახელმძღვანელო დოკუმენტები.

დასკვნა

თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება მიზნად ისახავს დასახული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი შესაძლებლობების ჩამოყალიბებას საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდასაჭერად. რესურსების მართვის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის მჭიდრო კოორდინაცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობებისა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დეტალურად განსაზღვრა.

პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავება და თავდაცვის რესურსების მართვა წარმოადგენს თავდაცვის სისტემის ტრანსფორმაციის ეფექტურ ინსტრუმენტს გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის კუთხით.